დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

ივნისი-ივლისი
2024

საბავშვო ნახატების გამოფენა ათენში

1 ივნისს, ქ. ათენში, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრის „არმაზი“ (ხელმძღვანელი ხათუნა ლობჯანიძე) ორგანიზებით ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი საბავშვო ნახატების გამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცენტრთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელთა ნამუშევრები (პედაგოგ სოფია ბელთაძის ხელმძღვანელობით).

სან-დიეგოში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

1 ივნისს, ქ. სან-დიეგოში, ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, სადაც ამავდროულად გაიმართა ცენტრის მრავალწლიანი პროექტის - „ქართული დღეები სამხრეთ კალიფორნიაში“ - წარდგენა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ქართველმა მომღერალმა საბა კემულარიამ.

ლონდონში საერთაშორისო საზაფხულო სიმღერის ფესტივალი გაიმართა

1 ივნისს, ქ. ლონდონის კენსინგტონისა და ჩელსის სამეფო რაიონში მდებარე წმინდა ელენეს ტაძარში, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ეგიდით გაიმართა „საერთაშორისო საზაფხულო სიმღერის ფესტივალი ქეთი მელუასთან ერთად, ლონდონი-2024“.

ფესტივალი მიმდინარეობდა დევიზით „ძალა ერთობაშია!“ და მისი იდეის ავტორი და ორგანიზატორი გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ხელმძღვანელი ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანი გახლდათ. ფესტივალი მიეძღვნა ფაზისის აკადემიის მუზათა ტაძრის დაარსებიდან 1750 და მისი აღდგენიდან 50-ე წლისთავს; დიდმოწამე ქეთევან დედოფლის დაბადებიდან 450-ე და წამებიდან 500-ე წლისთავს; გაერთიანებულ სამეფოში პირველი ქართული სკოლის 32-ე წლის იუბილეს და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

ფესტივალი განხორციელდა საქართველოს ფაზისის აკადემიის, საქართველოს ქეთევან დედოფლის საზოგადოების, გაერთიანებულ სამეფოში ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიების Bolero Vine Yards, (ზვიად ნორთი), Kensington and Chelsea of Supplementary Schools’ Partnerships’ (Mrs. Muna Ali) მხარდაჭერით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თანამემამულე მოზარდები დიდი ბრტანეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და საქართველოდან.

ფესტივალი საზეიმოდ გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სოფიო ქაცარავამ. მან ისაუბრა ქართული მეღვინეობის ისტორიაზე და მადლობა გადაუხადა პირველი ქართული სკოლის მესვეურებს 32 წლიანი ნაყოფიერი საქმიანობისათვის. ღონისძიებაში მონაწილე ახალგაზრდებმა შეასრულეს დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერლის, ქეთი მელუას ინგლისური და ქართული სიმღერები. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში მოღვაწე ოპერის მომღერალმა, დავით სუმბაძემ. თავად ქეთი მელუა ფესტივალს საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრო.

ვარშავაში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

1 ივნისს, ვარშავაში არსებულ ქართულ-პოლონურ საკვირაო სკოლაში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. საკვირაო სკოლის მასწავლებელმა ლალი ყრუაშვილმა ჩაატარა ღია გაკვეთილი, რომელზეც მოსწავლეებს ბავშვთა დაცვის დღის მნიშვნელობასა და ისტორიაზე ესაუბრა. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველი პოეტების ლექსები. საკვირაო სკოლის პროგრამებში წარმატებული მონაწილეობისა და აქტიური ჩართულობისთვის ფონდმა Fundacja Pamięci Narodów და ორგანიზაციამ Dom Przyjaźni PolskoGruzińskiej ქართულ-პოლონური საკვირაო სკოლის მოსწავლეები დიპლომებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს, შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სკოლას უცხოეთში მოქმედი ქართული საკვირაო სკოლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოები გადაეცა.

ათენის ქართულმა დიასპორამ მესხეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს უმასპინძლა

2 ივნისს, „ქართული დიასპორის საზოგადოებრივი ცენტრის“ (ხელმძღვანელი ნანა თევდორაძე) ორგანიზებით, ქ. ათენის თეატრში „ARGO“ მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმა სპექტაკლი „შობის ღამე“ (რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი) წარმოადგინა. სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.
წარმოდგენას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და საკონსულოს თანამშრომლები, ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ქართველი ემიგრანტები. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დავით ჯალაღანიამ. სპექტაკლის შემდეგ ღონისძიების ორგანიზატორებმა ინსცენირების რეჟისორს, მხატვარსა და მსახიობებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ანსამბლის „ქაფდაღი“ საკონცერტო ტური სტამბოლში

2 ივნისს, ქ. სტამბოლში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და დიასპორული ორგანიზაციის „ქართული ხელოვნების სახლი“ ორგანიზებით, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ქაფდაღი“ კონცერტი გამართა.

მილანში გაიხსნა სამხატვრო გამოფენა - „ქართული თეატრალური მხატვრობის ევროპული გზა“

3 ივნისს, ქ. მილანში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ნატალია კორძაიამ მილანის მთავარ კათედრალთან არსებულ ამბროსიანუმის დარბაზში საზეიმოდ გახსნა გამოფენა სახელწოდებით - „ქართული თეატრალური მხატვრობის ევროპული გზა“. ღონისძიებაზე ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა მათე ფიფიამ ცნობილი ქართველი კომპოზიტორებისა და კლასიკური მუსიკის ნაწარმოებები შეასრულა.

ღონისძიების ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მილანში არსებულმა ქართულმა „ლიტერატურულმა რესტორანმა - „მერისი“. გამოფენის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ მილანის მერიის, ადგილობრივი უწყებების, გენერალური საკონსულო დაწესებულებების, კულტურისა და ბიზნესის წარმომადგენლები, ქართველი სტუდენტები, მოდის სფეროში მოღვაწე ქართველი დიზაინერები და მილანის ქართული დიასპორის წევრები.

ვარშავაში პოლონეთის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა

4 ივნისს, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, დიანა ჟღენტმა, პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში არსებული ქართული საკვირაო სკოლებისა და დიასპორის წარმომადგენელებთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე საქართველოს ელჩმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დიასპორის განვითარების მნიშვნელობაზე და იმ საგრანტო პროგრამებზე, რომლებსაც სახელმწიფო დიასპორული აქტივობების მხარდასაჭერად ახორციელებს. შეხვედრის ოფიციალური მხარის დასრულების შემდეგ, საკვირაო სკოლების აღსაზრდელებმა კონცერტი გამართეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ვარშავის, გდანსკის, შჩეცინსისა და პოზნანის ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

„ფესტივალი კრეტაზე - საქართველოო ლამაზო“

4-9 ივნისს, კუნძულ კრეტაზე ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის, „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“, გამარჯვებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიება: „ფესტივალი კრეტაზე საქართველოო ლამაზო“. ფესტივალის ორგანიზატორები გახლდნენ ლასითის ოლქის ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს თავმჯდომარე ლაინე პაპიძე და ქ. აღიოს ნიკოლაოსიის ბერძენ ქალთა ლიცეუმის პრეზიდენტი პარულა კუცაკი.

6 ივნისს, ლასითის ოლქის სოფელ კრიცას ცენტრში გაიხსნა ქართული კულინარიისა და ღვინის პავილიონი და ჩატარდა პრეზენტაცია, ხოლო საღამოს, საქართველოდან ჩამოსული დელეგაციის წევრებმა ადგილობრივი მოსახლეობის თანდასწრებით ქართული ტრადიციული კერძები მოამზადეს და მოწვეულ სტუმრებს ქართული ღვინო, ყველი და ქართული ენდემური ხორბლის ჯიშებისგან გამომცხვარი პურიც გაასინჯეს. ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ერქვანი“ ქართული ხალხური სიმღერები შეასრულა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული გელა ჯაფარიძე და საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსულის თანაშემწე ზურაბ ვაჩეიშვილი. საბერძნეთის მხრიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის მერის მოადგილე კულტურის საკითხებში, მანოლის პედიადიტისი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოქალაქეები.

8 ივნისს, ქ. ნეაპოლში გაიმართა ფესტივალის გალა-კონცერტი, რომელსაც დაესწრნენ პეტრასა და ხერონისუს მიტროპოლიტი გერასიმოსი, აღიოს ნიკოლაოსის მერი მანოლის მენეღაკისი, ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების, მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები. კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ რუსთავთან არსებული გოგონათა გუნდი - „რუსთავი-ახალი თაობა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი-ახალი თაობა“, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ერქვანი“, აღიოს ნიკოლაოსის ქალთა ლიცეუმის ქორეოგრაფიული ანსამბლი და ადგილობრივი მუსიკოსები, „ლაივ სტრიმით“ გადაიცემოდა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მიტროპოლიტმა გერასიმოსმა, კონსულმა გელა ჯაფარიძემ, მერმა მანოლისს მენეღაკისმა და აღიოს ნიკოლაოსიის ბერძენ ქალთა ლიცეუმის პრეზიდენტმა პარულა კუცაკიმ.

9 ივნისს, ქ. ნეაპოლისის სამიტროპოლიტო ტაძარში ჩატარდა საღვთო ლიტურგია, რომელზეც ზემოთ ხსენებულმა გოგონათა გუნდმა და ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ქართული საგალობლები შეასრულეს. გამართულ ტრაპეზზე წარმოთქმულ სიტყვაში მიტროპოლიტმა გერასიმოსმა და კონსულმა გელა ჯაფარიძემ ხაზგასმით აღნიშნეს ორი ქვეყნის მართლმადიდებლური ეკლესიების როლი ქართველ და ბერძენ ხალხებს შორის მეგობრული და სულიერი კავშირების გაძლიერების საქმეში.

ქართველი სტიპენდიატები გერმანიის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამაში

6 ივნისს, ბუნდესთაგში, გერმანიის საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის პროგრამის ფარგლებში გაიმართა მიღება (IPS Emfang), რომელშიც 42 ქვეყნის სტიპენდიატებთან, დეპუტატებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა ქართველმა სტიპენდიატებმაც მიიღეს.

საპარლამენტო მიღება არის ყოველწლიური ღონისძიება, სადაც ყველა ქვეყნის სტიპენდიატებს ეძლევათ საშუალება, წარადგინონ საკუთარი ქვეყანა, ტრადიციები და კულტურა, ასევე დაამყარონ ახალი, საერთაშორისო ურთიერთობები.

საქართველო წარადგინეს წლევანდელმა სტიპენდიატებმა: გიორგი მამულაშვილმა, სოფო ბეჭვაიამ, ალექსანდრე ბუთხაშვილმა, ანა აბულაძემ და ერნა პეპანიანმა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ მხარი დაუჭირა ხსენებულ ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს საელჩოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა, ანა აბულაძემ.

პოეტ დათო მაღრაძის შეხვედრა სომხეთის ქართულ დიასპორასთან

6 ივნისს, ქ. ერევანში, საქართველოს საელჩოს ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწე დავით მაღრაძესთან. ღონისძიებას ესწრებოდნენ სომხეთში ქართული სათვისტომოს „ივერია“ წევრები, ქ. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და მხითარ სებასტაცის სახელობის საგანმანათლებლო კომპლექსის მოსწავლეები. შეხვედრა გახსნა სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი შარვაშიძემ. საღამოზე მას შემდეგ, რაც დამსწრეთ თავისი ლექსები თავად ავტორმა წაუკითხა, დავით მაღრაძის პოეზიის სომხური თარგმანები გააჟღერეს მთარგმნელმა ასია დარბინიანმა და მ. სებასტაცის სახელობის საგანმანათლებლო კომპლექსის მოსწავლეებმა. პოეზიის საღამოს შემდეგ გაიმართა მიღება.

ქართველთა კულტურული ასოციაციის კონცერტი ალბიში

8 ივნისს, ქ. ალბის ქართველთა კულტურული ასოციაციის ორგანიზებით ქართული კულტურული ღონისძიება ჩატარდა. კონცერტში მონაწილეობდნენ ასოციაციასთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ჯგუფი „კანდიორი“, ქ. ბარსელონას წმ. ნინოს სახელობის ქართულ ტაძართან არსებული საკრავების ჯგუფი „ვაზი“ და მგალობელ გოგონათა გუნდი „ბეთანია“.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ბარსელონას წმ. ნინოს სახელობის ქართული ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ლუკა (ფალავანდიშვილი) და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

გრენობლის ფესტივალზე ქართული სტენდი გაიხსნა

8 ივნისს, საფრანგეთის ქ. გრენობლში გაიმართა სახალხო სოლიდარობის ყოველწლიური ფესტივალი Fêtes de Tuiles, რომელშიც ქ. გრენობლის მერიის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო ასოციაციამ „ქართველები საფრანგეთში“. ორგანიზაციამ გამოფენაზე ქართული სტენდი წარადგინა.
ფესტივალზე გაიმართა მსვლელობა, კონცერტები, საბავშვო აქტივობები და ვორქშოფები.

ანსამბლმა „რირაში“ თურქეთში კონცერტი გამართა

8 ივნისს, თურქეთის სოფელ ჰაირიეში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და ჰაირიეს ქართული კულტურისა და ტურიზმის საზოგადოების ორგანიზებით, ფოლკლორული ანსამბლის „რირაში“ კონცერტი გაიმართა. ქართველმა მომღერლებმა კონცერტზე საგალობლები და ხალხური სიმღერები შეასრულეს.

ათენში სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა“ დაიდგა

9 ივნისს, ქ. ათენის თეატრში „არგო“ გაიმართა ქართულ-ბერძნულ თეატრალურ კულტურულ ორგანიზაციასთან - „დიონისე“ არსებული თეატრალური დასის სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქმნა“ (რეჟისორი თამარ სამხარაძე). სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქ. ათენში არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების - „ივერიელები“ და „კავკასია“ აღსაზრდელები.

სპექტაკლს ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დავით ჯალაღანია და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

ბრიუსელში ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის დაარსებიდან 10 წლის იუბილე აღინიშნა

9 ივნისს, ქ. ბრიუსელში საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის დაარსებიდან 10 წლისთავი აღინიშნა. იუბილეს საქართველოდან ეწვივნენ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი.
საიუბილეო ცერემონიაზე ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს ელჩმა, ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა ვახტანგ მახარობლიშვილმა და დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, მუხრან გულაღაშვილმა ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსს, ყოვლადუსამღვდელოეს მეუფე დოსითეოსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის - „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება 2024“ - საპატიო სიგელი და სპეციალური პრიზი გადასცეს.
ბრიუსელის საკათედრო ტაძარში გაიმართა საზეიმო ლიტურგია, რომელზეც ანსამბლ „დიდგორისა“ და ბელგიის ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს. იუბილეს ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლობების, ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები და ბელგიის ქართული დიასპორის წარმომადგენლები. საქართველოს საელჩოს და დიასპორის წარმომადგენლებმა ბელგიაში ქართული სათვისტომოს აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს.

იზმირში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

9 ივნისს, ქ. იზმირში, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერითა და იზმირის „ქართული მეგობრობის საზოგადოების“ ორგანიზებით, ქართული კულტურის საღამო გაიმართა. ღონისძიების ოფიციალური ნაწილისა და კონცერტის დასრულების შემდეგ ტრადიციული ქართული კერძების დეგუსტაცია მოეწყო.

საკვირაო სკოლა „ბეღურა“ სასწავლო წლის დასკვნით ღონისძიებას მართავს

9 ივნისს, მადრიდის საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ (ხელმძღვანელი თეა ქურხული) 2023-2024 სასწავლო წლის დასკვნითი ღონისძიება „ბეღურას უბნის ამბები“ გამართა. სკოლის აღსაზრდელებმა ლექსით, სიმღერითა და ცეკვით უამბეს მაყურებელს თბილისური ამბები ბეღურას ერთი პატარა უბნიდან.
წარმოდგენას ესწრებოდა ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ნატო ჩიქოვანი.



ფლორენციის ქართული საკვირაო სკოლა სასწავლო წელს აჯამებს

9 ივნისს, ქ. ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძართან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ 2023-2024 სასწავლო წელი შემოქმედებითი ღონისძიებით დახურა. სკოლის აღსაზრდელებმა სტუმრების წინაშე წლის განმავლობაში შესწავლილი ქართული ლექსები და სიმღერები წარმოადგინეს.
ღონისძიებას სამრევლოს წინამძღვარი არქიმანდრიტი ანდრია (ლაცაბიძე), იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს კონსული ეკატერინე ნინუა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თავიანთ მიმართვაში მამა ანდრიამ და ეკატერინე ნინუამ განსაკუთრებული აქცენტი, ქართული იდენტობის შენარჩუნებაში საზღვარგარეთ მოქმედი ქართული საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე გააკეთეს და მიღწეული შედეგებისთვის სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს მადლობა გადაუხადეს. აღნიშნული საკვირაო სკოლა ორი წლის წინ დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) კურთხევით და ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, რელიგია, მუსიკა, ცეკვა, ხელოვნების ისტორია და ხატვა.

რიგაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

10 ივნისს, ლატვიის დედაქალაქ რიგის ისტორიულ შენობაში „House of the Blackheads“, ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გამართა. რიგის მერიის მოედანზე, ქალაქის სიმბოლოდ ქცეული შენობის ფასადს ქართული დროშა ამშვენებდა. ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ლატვიის მთავრობის, პარლამენტისა და საგარეო უწყების წარმომადგენლები, ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრები, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და ესტონეთში ქართული დიასპორის წევრები.
მიღების ოფიციალური ნაწილის შემდეგ, ქართველები სტუმრებს ქართული ღვინოებით და ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება კოპენჰაგენში

12 ივნისს, ქ. კოპენჰაგენში მდებარე სამეფო თეატრის დარბაზში, დანიის სამეფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა.
ღონისძიებას დანიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, სახელმწიფო და კერძო უწყებების, აკადემიური წრისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნათელა (ნატა) მენაბდემ. საქართველოს ელჩმა ისაუბრა საქართველოსთვის ეროვნული დღის მნიშვნელობაზე, რომელიც ყველა ქართველისთვის უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია და სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს.
ღონისძიების კულტურული პროგრამა შვედეთში მცხოვრები ქართველი მუსიკოსის საბინა ჭანტურიას მუსიკალური შესრულებით გაგრძელდა. მიღებაზე, ასევე წარმოდგენილი იყო ქართველი მხატვრის დავით ფიცხელაურის სურათების გამოფენა. ღონისძიების სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო.

საქართველოს ეროვნული დღე ისლანდიაში პირველად აღინიშნა

14 ივნისს, ისლანდიაში, ქ. რეიკიავიკის მთავარ საკონცერტო დარბაზში - „ჰარპა“ საქართველოს ეროვნული დღისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა.
ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ დანიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნათელა (ნატა) მენაბდე და ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუდმივი სახელმწიფო მდივანი მარტინ ეიოლფსონი. მიღებაში მონაწილეობა მიიღეს პიანისტმა ნინა ქავთარაძემ და მომღერალმა საბინა ჭანტურიამ. ეროვნული დღისადმი აღსანიშნავი ღონისძიება საქართველოს საელჩომ (რეზიდენცია - კოპენჰაგენში) ისლანდიაში პირველად გამართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ისლანდიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ქართული დიასპორის, ისლანდიის სახელწიფო და კერძო უწყებების წარმომადგენლები.

ქართული ცეკვის აკადემიამ „Georgia“ 2023-2024 წლის სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.

15 ივნისს, ქ. მადრიდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან არსებული ქართული ცეკვის აკადემიამ „Georgia“ 2023-2024 წლის სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა.
მადრიდის ქართული ცეკვის აკადემია მაყურებლის წინაშე წარდგა ექვსი სარეპერტუარო ცეკვით, მათ შორის იყო ორი სადებიუტო ცეკვა - „ხორუმი“ და „ნარნარი“. აკადემიის ქორეოგრაფები გახლავთ მაკო მიქელაძე და კოტე მესხიძე, რომლებიც მრავალი წელია ემიგრანტ ბავშვებს ქართული ცეკვის ხელოვნებას შეასწავლიან.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთის სამეფოში საქართველოს სალჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული ნატო ჩიქოვანი, მადრიდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა პიროსი (გოცირიძე), საელჩოს კონსული თეიმურაზ ბასილაია და ასოციაციის „Universal Ateneos“ პრეზიდენტი მარია გლორია ესტერ ვალიდო რუბიო.

ბორდოში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა

15 ივნისს, ქ. ბორდოში, ასოციაციის „ქართველები საფრანგეთში“ ორგანიზებით საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცეკვის ანსამბლი „ანანკე“ - ალისა ბარამიძის ხელმძღვანელობით, ქართული საბრძოლო ხელოვნების ოსტატები კახა ჟვანიას ხელმძღვანელობით და მოჯირითე ლუკა კოპალეიშვილი. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ ქართველი და ფრანგი მუსიკოსები. ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო მოქანდაკე მერაბ კანკაძისა და საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის ელენე ლოლაძის ნამუშევრები, ასევე, ქეთი წიტაიშვილის თექის ნიმუშები, ნატალია რობაქიძის ხელნაკეთი სამკაულები და ნონა მარგალიტაძის ხელნაკეთი ნივთები. ღონისძიებიდან შემოსული თანხა საქართველოში სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ოჯახებს მოხმარდება.



ქართველთა კულტურის კერა „ლაზმა“ დაარსებიდან 15 წლის იუბილე იზეიმა

15 ივნისს, ქ. პარიზის პაჟოლის საკონცერტო დარბაზში, ორგანიზაციამ ქართველთა კულტურის კერა „ლაზი“ (ხელმძღვანელი ეკა ბოდოკია, პრეზიდენტი დაჩი ჩაგანავა) დაარსებიდან 15 წლის იუბილე აღნიშნა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ანსამბლის „ლაზი“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა. პროგრამა მოამზადეს „ლაზის“ გუნდის ხელმძღვანელმა, ქორეოგრაფებმა, ორგანიზაციასთან არსებული საკვირაო სკოლის პედაგოგებმა და ტექნიკურმა მუშაკებმა. კონცერტს უძღვებოდნენ წამყვანები (ქართული დიასპორის წარმომადგენლები) გვანცა დემეტრაშვილი და დავით გუგუნავა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული საღამო შტუტგარტში

16 ივნისს, ქ. შტუტგარტში, „შტუტგარტის ხელოვნების და მუსიკის საზოგადოების“ (Art Music Georgia Verein) ორგანიზებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ქართული საღამო, ფოლკლორული გალა კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ფრაიბურგის ქართული ცეკვის სკოლამ და საქართველოდან მიწვეულმა ანსამბლმა „მუსიკელი“. კონცერტზე ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად წარდგა შტუტგარტის ხელოვნებისა და მუსიკის საზოგადოებასთან არსებული ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „კოლხეთი“, ქორეოგრაფ ლუკაშ კვიჩინის ხელმძღვანელობით.

ქართველთა კულტურის კერა „ლაზი“ პარიზის მე-18 უბნის დღესასწაულზე

16 ივნისს, პარიზის მე-18 უბნის დღესასწაულში მონაწილეობა ქართველთა კულტურის კერამ „ლაზი“ მიიღო. ფრანგი მაყურებლის წინაშე „ლაზის“ მუსიკოსებმა ქართული ხალხური ცეკვები და საესტრადო სიმღერები შეასრულეს.

სან-ხოსეს საჯარო ბიბლიოთეკაში ქართული წიგნების სექცია გაიხსნა

20 ივნისს, ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სან-ხოსეს საჯარო ბიბლიოთეკაში პირველად, ქართული წიგნების სექცია გაიხსნა. პროექტი ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური საკონსულოს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ქართული მემკვიდრეობის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

ჩრდილოეთ კალიფორნიაში, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, სან-ხოსეს ბიბლიოთეკას ქართული მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის 80 ეგზემპლიარი გადაეცა. ქართული და ინგლისურენოვანი წიგნები ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში განთავსდა და მსურველებისთვის უკვე ხელმისაწვდომია. წიგნების გადაცემის ცერემონიას სან-ხოსეს მერი მეტ მაჰანი, ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკარი ჯილ ბერნი, ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური კონსული ლევან ყულიჯანიშვილი, ქართული მემკვიდრეობის ფონდის ხელმძღვანელი ლიანა ნიცეცკაია და ქართული დიასპორის წევრები ესწრებოდნენ. თავის გამოსვლაში სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალურმა კონსულმა განსაკუთრებული აქცენტი უცხოეთში საქართველოს ცნობადობის ამაღლების საქმეში ქართულ დიასპორასთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გააკეთა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აშშ-ში მცხოვრებმა ქართველმა მომღერალმა ზაზა კორინთელმა. მან ქართული ფოლკლორული კომპოზიციები შეასრულა.

ნიუ-იორკში Dancing Crane Company-ს ყოველწლიური გალა-კონცერტი გაიმართა

22 ივნისს, ქ. ნიუ-იორკში, კაუფმანის მუსიკალური ცენტრის მერკინ ჰოლში, ქართული კულტურის ცენტრის „Dancing Crane Company“ ყოველწლიური გალა-კონცერტი გაიმართა. მაყურებლის წინაშე წარდგნენ კულტურის ცენტრთან არსებული პროფესიული და საბავშვო ანსამბლები - მამაკაცთა გუნდი „ზეკარი“, ქართული ცეკვის საბავშვო ანსამბლი „დაკარგული ლეგენდები“, საბალეტო სკოლა, ჰიპ-ჰოპ ჯგუფი და სხვა.

თესალონიკში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

22 ივნისს, ქ. თესალონიკში, „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორის, პიარის, პროტოკოლისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელის რაულ ქირიასა და თესალონიკში არსებული დიასპორული ორგანიზაციების ერთობლივი პროექტის ფარგლებში ქართული კულტურის საღამო გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს „ევროპის უნივერსიტეტის“ ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა, ჰოპ ჯგუფმა „გამორჩეული“ და ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფესვები“. საღამოს ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული კარლო ჩხაიძე, არისტოტელეს უნივერსიტეტის თეოლოგიის დოქტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი მათურელი და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება სომხეთის ქართულ სათვისტომოში

22 ივნისს, სომხეთის ქართულ სათვისტომოსთან „ივერია“ (პრეზიდენტი სვეტლანა ნამჩევაძე) არსებულმა საკვირაო სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის დასასრული შემაჯამებელი ღონისძიებით - ანბანის დღესასწაულით აღნიშნა.

ათენის ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციამ წლის შემაჯამებელი ღონისძიება გამართა

23 ივნისს, ქ. ათენის თეატრში „ალფა“, ათენის ბერძნულ-ქართული კულტურის ასოციაციის (ხელმძღვანელი ხატია ქარსაულიძე) ორგანიზებით 2023-2024 წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ივერიელები“ და ასოციაციასთან არსებული, დავით გურამიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა და ლიტერატურული სალონი.

თესალონიკის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო“ კონცერტი ონში

23 ივნისს, ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ ფარგლებში, ქ. თესალონიკის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „საქართველო“ კონცერტი გაიმართა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ონის და ამბროლაურის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები. პროექტის მიზანია ანსამბლის წევრებისა და სალოტბარო სკოლის მოსწავლეების, რაჭის რეგიონში მცხოვრები თანატოლების გაცნობა-დამეგობრება, შემოქმედებისა და ემოციების ურთიერთგაზიარება, რაჭის რეგიონის ეთნოფორებთან შეხვედრა და მათგან ქართული უნიკალური ქორეოგრაფიული საგანძურის შესწავლა.

საკვირაო სკოლამ „აისი“ სასწავლო წლის დასრულება აღნიშნა

23 ივნისს, ქ. მადრიდის წმინდა გიორგის ეკლესიასთან არსებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „აისი“ (ხელმძღვანელი თამარ მეტრეველი-ჩადუნელი, ლაშა ჩადუნელი) 2023-2024 წლის სასწალო პროცესის დასრულება შემაჯამებელი ღონისძიებით აღნიშნა. ღონისძიებაზე საკვირაო სკოლის მოსწავლეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

ფლორენციაში მიუზიკლი „კონკია გუშინ და დღეს“ დადგეს

24 ივნისს, ქ. ფლორენციის თეატრში „Cartierre Carrara“, ასოციციაციის „Harmonia“ და „L’arte de la Danze“-ს სამხატვრო დირექტორის პალმირა პისკოპოს ხელმძღვანელობით დაიდგა მიუზიკლი „კონკია გუშინ და დღეს“, რომელშიც ქ. ემპოლის წმ. თამარ მეფის სამრევლოსთან არსებულმა ბავშვთა სტუდიამ „ნანილა“ და ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოს ცეკვის ანსამბლმა „ნანილა“ მიიღო მონაწილეობა.

ესტონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

25 ივნისს, ქ. ტალინში, ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საზეიმო მიღება გამართა, რომელშიც ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ქართველმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს და დამსწრე საზოგადოების წინაშე ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებით წარსდგნენ.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ზურაბ ხამაშურიძემ, რომელმაც ესტონეთის ქართულ დიასპორას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა და ისტორიულ ჭრილში მიმოიხილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და მისი აღდგენის მნიშვნელობა. საქართველოს ელჩმა ხაზი გაუსვა საქართველო-ესტონეთს შორის მიმდინარე მეგობრულ ურთიერთობებსა და მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებებით.

ვენაში ქართული კულტურის საღამო გაიმართა

25 ივნისს, ქ. ვენის მუსიკალურ დარბაზში - „Das Muth“, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ქართული კულტურის საღამო გამართა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ქეთევან ციხელაშვილმა. ავსტრიის რესპუბლიკის ევროპულ და საერთაშორისო საქმეთა ფედერალური სამინისტროს სახელით მიღებას მიესალმა ელჩი გერჰარდ ზაილერი.

ქართული კულტურის საღამოს გამორჩეული მონაწილე გახლდათ ვენაში, საქართველოს და ავსტრიის კულტურული ურთიერთობის ხელშეწყობის ორგანიზაციასთან არსებული, ბავშვთა ცეკვის ანსამბლი „გელათი“ (დაარსდა 2022 წელს და ავსტრიაში მცხოვრებ ქართველ ბავშვებს მშობლიურ კულტურას და ტრადიციულ ცეკვებს აზიარებს), რომლის მიერ შესრულებულმა „ცეკვა ქართულმა“ და „განდაგანამ“ დამსწრე აუდიტორიაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ღონისძიების მეორე ნაწილი დაეთმო საქართველოდან სპეციალურად ჩამოსულ და ქართულ დიასპორაში ერთობ პოპულარულ მუსიკოს დათო კენჭიაშვილსა და ბენდ „ექსპერიმენტს“.

მოწვეული სტუმრებისთვის ქართული ტრადიციული კერძებისა და ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. მათ შორის იყვნენ ავსტრიის პარლამენტისა და მთავრობის, აკადემიური და ბიზნეს წრეების, ვენაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები, აგრეთვე, სლოვაკეთში საქართველოს საპატიო კონსული.

ჯგუფი „ექსპერიმენტი“ საკვირაო სკოლა „იმედში“

26 ივნისს, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით, ქართველი მომღერალი დათო კენჭიაშვილი და ჯგუფი „ექსპერიმენტი“ ქ. გრაცში მოქმედ, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საკვირაო სკოლას „იმედი“ ესტუმრნენ. მუსიკოსების და გრაცის საკვირაო სკოლის ანსამბლის მონაწილეობით გაიმართა ქართული ხალხური და თანამედროვე პოპულარული მუსიკის კონცერტი.

კონცერტს ესწრებოდნენ ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქეთევან ციხელაშვილი, ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს კონსული თამთა კინწურაშვილი და საელჩოს თანამშრომლები. თავის მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გრაცის საკვირაო სკოლის მასწავლებლებისა და საბავშვო ანსამბლის მიერ გაწეული სამუშაო გახლავთ ავსტრიაში ქართული იდენტობისა და კულტურის შენარჩუნების, ასევე, ავსტრიის ფართო საზოგადოებაში ქართული მუსიკალური ხელოვნების გავრცელებასა და პოპულარიზების საუკეთესო მაგალითი. საქართველოს საელჩომ გაწეული ღვაწლისათვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა აღნიშნული საკვირაო სკოლის პედაგოგი ეკა ბალიაშვილი, რომელიც ოჯახთან ერთად საქართველოში ბრუნდება.

მილანში საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

26 ივნისს, ქ. მილანში, ქართულმა ლიტერატურულმა რესტორანმა „მერმისი“, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც იტალიურმა კულტურულმა ასოციაციამ „LIBERI OLTRE“ გამართა. „საქართველოზე მხოლოდ ამბების წაკითხვით, რთულია კავკასიაში ჩაბუდებული პატარა ერის ისტორიის შესწავლა“ - ასე ახსნა იტალიურმა ასოციაციამ საქართველოსადმი მიძღვნილი ღონისძიების იდეა.
შეხვედრაზე მოხსენებით წარდგა იტალიელი პროფესორი ანტონიო ჯარლეტა. იგი სტუმრებს ქართული ისტორიისა და კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრა: განსაკუთრებული ყურადღება ქართულ ენასა და დამწერლობაზე გაამახვილა. აღნიშნული ღონისძიებისათვის „მერმისში“ ქართული წიგნის სპეციალური წარდგენა მოეწყო, რომელზეც სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ ქართული დედა ენისა და „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს გამოცემებს გაცნობოდნენ.
ასოციაციის „LIBERI OLTRE“ დამფუძნებელი კოსტანტინო დე ბლაზი ასოციაციის ონლაინ პლატფორმის საშუალებით, ვირტუალურ მაყურებელს საქართველოზე და ღონისძიების არსზე ესაუბრა.
საღამო რესტორნის დამაარსებელმა მელი თურმანიძემ დაასრულა და საქართველოს გაცნობის იდეით მოხიბლულ იტალიელ სტუმრებს დასწრებისთვის მადლობა გადაუხადა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი „ძლიერი დიასპორა სამშობლოს სამსახურში“ გაიმართა

27 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი - „ძლიერი დიასპორა სამშობლოს სამსახურში“ გაიხსნა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოსულ ქართველ ემიგრანტებს, სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა. დიასპორის წარმომადგენლების ფორუმს მიესალმა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი და საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია. ფორუმი დალოცა ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ.

„ქართული დიასპორა ჩვენი ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა და ქვეყნის განვითარების პროცესში მისი ჩართვის უზრუნველყოფა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, საგარეო უწყება დიასპორული ორგანიზაციების, ჩვენი თანამემამულეების მხარდაჭერის, მექანიზმების დახვეწის მუდმივ ძიებაშია,“ - განაცხადა ილია დარჩიაშვილმა და დასძინა, რომ მიმდინარეობს აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობა პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიასპორასთან ურთიერთობის გაღრმავების კუთხით, რომელიც ეფუძნება მსოფლიოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ორიენტირებულია მის გაცნობა გაზიარებაზე.

მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დიასპორაში ეკლესიის როლსა და ავტორიტეტზე. მან მადლობა გადაუხადა საზღვარგარეთ არსებულ ეპარქიებს და მათ წინამძღოლებს, განმარტა, რომ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული სამრევლოები ქართული ემიგრაციის გაერთიანებისა და შეკავშირების საუკეთესო გარემოა, სადაც ქართული დიასპორა ყველაზე ძლიერად გრძნობს საკუთარ ფესვებს. ილია დარჩიაშვილმა მადლობა გადაუხადა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლს, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

ღონისძიების ფარგლებში გამოვლინდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამების გამარჯვებულები. სპეციალური ჯილდო გადაეცათ უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეებს, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყვეს საქართველოს პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. შეგახსენებთ, რომ წლებია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს სამ მნიშვნელოვან საგრანტო პროგრამას: 1. „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ (2018 წლიდან); 2. "დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ (2019 წლიდან) და 3. „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ (2020 წლიდან). აღნიშნული პროგრამების ფარგლებში, სხვადასხვა პროექტისთვის გრანტი გამოეყო დიასპორის 278 წარმომადგენელს (მსოფლიო მასშტაბით). 2017 წლიდან საგარეო უწყება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“, რომლის ფარგლებშიც ჯილდო გადაეცემათ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს.

ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ფორუმი ყოველწლიურად იმართება და მიზნად, სახელმწიფოსა და დიასპორას შორის კავშირებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე მსჯელობას და ქვეყნის განვითარებაში დიასპორის წარმომადგენელთა როლის გაზრდას ისახავს.

დიასპორის ფორუმის ფარგლებში გამართულ თემატურ პანელებზე კულტურის, ეკონომიკის და კომუნიკაციის თემებზე იმსჯელეს

28 ივნისს, დიასპორის ფორუმის - „ძლიერი დიასპორა სამშობლოს სამსახურში“ - ფარგლებში, განათლების, კულტურის, ეკონომიკისა და კომუნიკაციის საკითხებზე სამუშაო სესიები გაიმართა. მონაწილეებმა განათლების და კულტურისადმი მიძღვნილ პანელზე ისაუბრეს ქართული დიასპორის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქვეყნის მდიდარი შემოქმედებითი პოტენციალის საერთაშორისო აღიარების, ცნობადობის გაზრდის და ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიასპორის წარმომადგენელთა მოღვაწეობის საჭიროებას საქართველოს, როგორც ევროპული ქვეყნის წარმოჩენის კუთხით. სამუშაო სესიაზე - „ბიზნესი და ეკონომიკა“ - ყურადღება გამახვილდა დიასპორის როლზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საქმეში. ფორუმის მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე არაერთ დიასპორულ ბიზნეს-პროექტზე, მათ შორის, რეგიონული განვითარების პროექტებზე. დიასპორის წარმომადგენლებმა უახლესი ინფორმაცია მოისმინეს საქართველოში ბიზნეს-გარემოს, საინვესტიციო პოტენციალის, კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებებისა და პროგრამების შესახებ. თემატურ პანელზე, სახელწოდებით, „ინფორმაცია - დიასპორის წარმატების მექანიზმი“, ყურადღება გამახვილდა საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების სრულყოფასა და თანამემამულეების რესურსის გამოყენების მნიშვნელობაზე უცხოეთში ქვეყნის პოზიტიური იმიჯის წარმოჩენის საქმეში.

გამოვლინდნენ დედაენის დღის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულები

28 ივნისს, დიასპორის ფორუმის - „ძლიერი დიასპორა სამშობლოს სამსახურში“ ფარგლებში, „დედაენის დღის“ კონკურში გამარჯვებული საკვირაო სკოლის მოსწავლეები დააჯილდოვეს.
კონკურსი, რომელიც სამ კომპონენტს მოიცავდა: საუკეთესო ესსე, კალიგრაფიულად შესრულებული ნამუშევარი და ნახატი, 13-მა მონაწილემ გაიმარჯვა. მათი ნამუშევრების გამოფენა დიასპორის ფორუმზე გაიმართა.

კონკურსის გამარჯვებულები არიან:

მხატვრული ესსე
I ადგილი - ლაშა ბაბილუა, 28 წლის. აშშ. პენსილვანიაში წმ. მღვდელმოწამე გრ. ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრის მასწავლებელი;
II ადგილი - ანასტასია მანგოშვილი, 14 წლის. ირლანდია. დუბლინის ქართული საგანმანათლებლო ცენტრ „ლამპარის“ მოსწავლე;
III ადგილი - დავით დევიძე - 10 წლის. იტალია. ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოსთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლე.

კალიგრაფიის კონკურსი
I ადგილი - ნინო ჯიღაური, 18 წლის. ირლანდია. დუბლინის ქართული საგანმანათლებლო ცენტრ „ლამპარის“ მოსწავლე;
II ადგილი - ანა მიქიაშვილი, 8 წლის, აშშ. პენსილვანიაში წმ. მღვდელმოწამე გრ. ფერაძის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი საკვირაო სკოლის მოსწავლე;
III ადგილი - ანამარია აბულაძე, 14 წლის იტალია. ფლორენციის წმ. ნინოს სამრევლოსთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლე.

ამავე კატეგორიაში სპეციალური პრიზი გადაეცათ:
1. ლიზი ნამჩევაძე - 15 წლის, გერმანია. შტუტგარტის ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებასთან არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლე.
2. მაია შაბურიშვილი - იტალიაში მცხოვრები თანამემამულე.

ნახატების კონკურსი

I ადგილი - ანა ცაგარეიშვილი, 14 წლის, აშშ. ნიუ-იორკში მოქმედი „ეკატერინეს არტ“ სტუდიოს მოსწავლე;
II ადგილი - მარიამ შამილაძე, 14 წლის, საფრანგეთი. ასოციაცია “მსოფლიოს ხალხებთან” არსებული საკვირაო სკოლა “ფესვების” მოსწავლე;
III ადგილი - გიორგი ფილაური, 10 წლის, აშშ. ქ. ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრ „ფესვებთან“ არსებული სამხატვრო სკოლის მოსწავლე

ამავე კატეგორიაში სპეციალური პრიზი გადაეცათ:

1. ნანიკო შუბლაძე 11 წლის, აშშ. ქ. ნიუ-იორკში მოქმედი Lorina's art studio -ს მოსწავლე;
2. ანდრია ლუკა არჩვაძე , 13 წლის, აშშ. ქ. ნიუ-იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრ „ფესვებთან“ არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლე.

ათენში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „საგანძური“ ჩატარდა

28-30 ივნისს, ქ. ათენში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ - ქართულ-ბერძნულმა თეატრალურმა კულტურულმა ორგანიზაციამ „დიონისე“ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „საგანძური“ ჩაატარა.

ფესტივალი მიზნად ისახავდა უცხო მიწაზე ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას, უცხოელ ახალგაზრდებთან კეთილი ურთიერთობის დამყარებას, ბერძენი და საბერძნეთში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებისთვის ქართული კულტურის გაცნობას, საბერძნეთსა და საქართველოს შორის კულტურული კავშირების გაღრმავების ხელშეწყობას და ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების გამოვლენა-წახალისებას.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“ (ხელმძღვანელი ავთანდილ მიქაბერიძე) და ცენტრთან არსებული, ათენის წმ. ნინოს სახ. ქართული პოლიფონიური მუსიკის გუნდი, მისი სასწავლო სტუდიასთან ერთად (ლოტბარი მამუკა ინაძე, პედაგოგი ნატალია ანთია), ასევე, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები: „მოურავი“, „ფესვები“, „ლომისი“, „ტრებიტა“, „ივერიელები“, „კავკასია“ და „კოლხიდა“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. თესალონიკში საქართველოს გენერალური კონსული გელა ჯაფარიძე, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი ვარლამ ბაძაღუა და ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.



ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“ ანტვერპენის საზაფხულო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

29 ივნისს, ბელგიის სამეფოს ქალაქ ანტვერპენში, ქართულ შემოქმედებით გაერთიანებასთან „იმედი“ არსებულმა იმავე სახელწოდების ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“ (ხელმძღვანელები - იმედა ყავლაშვილი და ხათუნა მახარაძე) უკრაინულ დიასპორასთან ერთად საზაფხულო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ანსამბლმა ოთხი ქართული ცეკვა შეასრულა. კონცერტის შემდეგ, ანსამბლის ხელმძღვანელებმა ნორჩი შემსრულებლები სპეციალური მედლებით დააჯილდოვეს.

ლიეპაიაში „ლატვიის ეთნიკურ უმცირესობათა“ ყოველწლიური ფესტივალი გაიმართა

29-30 ივნისს, ლატვიის კულტურის სამინისტროსა და ქ. ლიეპაიას მერიის ორგანიზებით „ლატვიის ეთნიკურ უმცირესობათა“ ყოველწლიური ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ლატვიაში მცხოვრები 16 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლობამ, მათ შორის ქართველებმა.

29 ივნისს, კულტურის მინისტრისა და ქ. ლიეპაიას მერის სახელით, გაიმართა სპეციალური მიღება, რომელზეც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები შეხვდნენ ლატვიის კულტურის ახალ მინისტრს, აგნესე ლაცეს. ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოსა და ფინეთის საელჩოებს ფესტივალის აქტიური მხარდაჭერისთვის. კულტურის მინისტრმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ქართული დიასპორული ორგანიზაციის „სამშობლო“ აქტიური ჩართულობა წლევანდელი ფესტივალის ყველა ღონისძიებაში. ორდღიან ფესტივალზე ორგანიზაცია „სამშობლომ“ მონაწილეობა მიიღო როგორც სიმღერისა და ცეკვის, ისე სახვითი ხელოვნების ნაწილში. ფესტივალზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ქართველი ხელოვანის ნუგზარ ფაქსაძის ფერწერის მასტერკლასები. ქ. ლიეპაიას სცენასა და ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში ქართული ხალხური მუსიკა ჟღერედა.

ლატვიაში საქართველოს საელჩოს სახელით ფესტივალს საელჩოს მრჩეველი თამარ ფახურიძე დაესწრო.

ბარსელონას ქართულ საკვირაო სკოლაში სასწავლო წლის დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა

30 ივნისს, ქ. ბარსელონაში, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე აბრაამის (გარმელია) კურთხევით, ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებულ წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართულ საკვირაო სკოლაში ჩატარდა ტრადიციული, სასწავლო წლის დასკვნითი ღონისძიება სახელწოდებით „კიდევაც დაიზრდებიან“.
ღონისძიებაში მონაწილე საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა და მხატვრულ-შემოქმედებითი წრეების აღსაზრდელებმა წაიკითხეს ლექსები, ნაწყვეტები ქართული კლასიკური ნაწარმოებებიდან, შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, ასევე მოაწყვეს საკუთარი ნახატების გამოფენა.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები.

ალბის საკვირაო სკოლაში სასწავლო წლის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა

30 ივნისს, ქ. ალბის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი ეკა ციმინტია) 2023-2024 სასწავლო წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

ანტვერპენში საბავშვო თეატრმა - „ჩვენ დავბრუნდებით“ პრემიერა გამართა

30 ივნისს, ბელგიის სამეფოში, ქ. ანტვერპენში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიასთან არსებული, ბერი გაბრიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის საბავშვო თეატრმა „ჩვენ დავბრუნდებით“ (ხელმძღვანელი მანანა ხორბალაძე) ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის დაარსებიდან 10 წლის იუბილე ორი სპექტაკლის პრემიერით აღნიშნა. პირველ განყოფილებაში მაყურებელმა იხილა მიუზიკლი „რწყილი და ჭიანჭველა“, ხოლო მეორე განყოფილება დაეთმო კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“ ინსცენირებას. ორივე სპექტაკლი განხორციელდა ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქიის, ბელგიის სამეფოში საქართველოს საელჩოს, ანტვერპენის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიისა და რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის მხარდაჭერით. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ბელგიაში, ირლანდიაში და საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ბავშვები, რომლებმაც მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება და მხურვალე ოვაციები დაიმსახურეს.

ქართული ფოლკლორული მუსიკის საღამო ნიდერლანდებში

30 ივნისს, ნიდერლანდების ქ. ნაიმეიგენის პროტესტანტულ ეკლესიაში ქართული ფოლკლორული მუსიკის საღამო გაიმართა. მაყურებლის წინაშე ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი ანსამბლი „თვალთაი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან წიკლაური) წარდგა, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერები შეასრულა. კონცერტს ესწრებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია, საელჩოს თანამშრომლები და ფოლკლორული ხელოვნების ადგილობრივი მოყვარულები.

ბათ-იამიში ისრაელში მოღვაწე ქართველების დაჯილდოება გაიმართა

4 ივლისს, ქ. ბათ-იამის აუდიტორიუმში, დიასპორულმა ორგანიზაციამ - „ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში“, საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ საქართველო-ისრაელის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის ქართველი ებრაელების დაჯილდოების ღონისძიება გამართა. ღონისძიების მთავარი მხარდამჭერი ქართველ-ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირი“ გახლდათ. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ემიგრანტი და ქართველი ებრაელი მომღერლები.

ღვაწლმოსილ ებრაელებს დაჯილდოება მიულოცა ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს კონსულმა, ზურაბ სინჯარაძემ, ისრაელის ყოფილმა ელჩმა საქართველოში, შაფთაი ცურმა, ისრაელის ყოფილმა სამხედრო ატაშემ, პოლკოვნიკმა - ეფრაიმ მიხაელმა. სახელობითი პრემიებით, სიგელებითა და მედლებით დაჯილდოებულთა სახელით მეცნიერმა შალვა წიწუაშვილმა, მომღერალმა იუზა მოშიაშვილმა და პოეტმა იზოლდა მოშიაშვილმა მადლობა გადაუხადეს „საქართველოს მწერალთა კავშირს“ და ღონისძიების ორგანიზატორებს მათი ღვაწლის დაფასებისთვის.

რიგაში ღვინის ფესტივალი „ქართული ვაზი“ გაიმართა

4-6 ივლისს, ქ. რიგაში ღვინის ფესტივალი - „ქართული ვაზი“ გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორები გახლდათ ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში (კახეთის რეგიონი) მიხეილ ხუნდაძე და რიგაში მოქმედი ქართული რესტორანი „ალავერდი“. ფესტივალის გახსნით ნაწილზე დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი ყურაშვილი. სიტყვით, ასევე, გამოვიდნენ ლატვიის პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე აივა ვიქსნა და ლატვიის საპატიო კონსული მიხეილ ხუნდაძე.

ფესტივალის გახსნას ესწრებოდნენ ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ლატვიაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ლატვიის ქართული დიასპორის წარმომადგენლები. სტუმრებმა დააგემოვნეს სხვადასხვა დასახელების მაღალი ხარისხის ქართული ღვინო. ფესტივალზე წარმოდგენილი იყვნენ კომპანიები: „Chito’s Gvino“, „Baia’s Wine“, „Winiveria“, „Jakeli Wines“, „Orkoli Wines“, „Georgian Wines“, „Chona’s Marani“, „Dakishvili Family Wines“.

თურქეთში ფოლკლორის 24-ე საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა

5-7 ივლისს, ქ. ინეგოლში, „ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების“ ორგანიზებითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ფოლკლორის რიგით 24-ე საერთაშორისო ფესტივალის გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. საზეიმო ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი მუხრან გულაღაშვილი, ქ. ანკარაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული დიანა მალაზონია და ქ. სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჯიშკარიანი დაესწრნენ. ვლადიმერ კონსტანტინიდმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას, ასევე, ურთიერთობების გაღრმავების მნიშვნელობასა და მსგავსი ღონისძიებების გამართვის აუცილებლობას.

ბურსაში ვიზიტის ფარგლებში, ვლადიმერ კონსტანტინიდი „მარმარილოს რეგიონის ქართული ასოციაციების ფედერაციას“ ესტუმრა, „ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოების“ ცენტრი მოინახულა და სამახსოვრო წიგნში ჩანაწერი გააკეთა. ვიზიტის დასასრულს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქართულ დელეგაციასთან ერთად, გვირგვინით შეამკო თურქეთში მცხოვრები ქართველი საზოგადო მოღვაწეების აჰმედ ოზქანისა (მელაშვილი) და ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძე) საფლავები.

ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“ წლის შემაჯამებელი კონცერტი გამართა

7 ივლისს, ქ. ათენის თეატრში „კნოსოს“, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ორგანიზებით, ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „კავკასია“ და მასთან არსებული სასწავლო სტუდიების აღსაზრდელების 2023-2024 აკადემიური წლის შემაჯამებელი კონცერტი გიმართა. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, ღონისძიება ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგის, ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. საღამოს უძღვებოდა ცნობილი ბერძენი მსახიობი და მწერალი, პროფესორი პარის კაციველოსი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლევან ბერიძე, კონსული გელა ჯაფარიძე, საელჩოს უფროსი მრჩეველი დავით კორძაძე და მრჩეველი ვარლამ ბაძაღუა. მისასალმებელი სიტყვა საქართველოს ელჩმა წარმოთქვა.

ღონისძიება ფოლკლორული ფესტივალების საერთაშორისო ორგანიზაცია CIOFF-ის საბერძნეთის ეროვნული სექციის პატრონაჟით გაიმართა.



ქართველთა კულტურის კერა „ლაზის“ კონცერტი თბილისში

7 ივლისს, ქ. თბილისში, საფრანგეთში მოქმედმა დიასპორულმა ორგანიზაციამ - ქართველთა კულტურის კერა „ლაზი“ (ხელმძღვანელი ეკა ბოდოკია, პრეზიდენტი - დაჩი ჩაგანავა) დაარსებიდან 15 წლის იუბილე იზეიმა. კონცერტში, რომელიც პროექტის „საქართველო ჩემი ფესვებია“ ფარგლებში გაიმართა, მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციასთან არსებული ანსამბლის „ლაზი“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.

ღონისძიება ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სგრანტო პროგრამის - „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ ფარგლებში.

სომეხი ხელოვანები „პრემია-ივერიით“ დაჯილდოვდნენ

9 ივლისს, ქ. ერევანში, კულტურის სომხურ ფონდში ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა გახსნა კულტურის სომხური ფონდის თავმჯდომარემ არევშატ ავაგიანმა. მან ხაზი გაუსვა ორ მეზობელ და მეგობარ ერებს შორის კულტურული ხიდების აგებასა და მეგობრობის განმტკიცებას, მაღალი შეფასება მისცა სომხური კულტურის პოპულარიზაციას საქართველოში, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება წმინდა ილია მართლის გაზეთის „ივერია“ ლიტერატურულ კონკურსში - „პრემია-ივერია“ - სომეხ შემოქმედთა წარმატებული მონაწილეობა გახლდათ. „პრემია-ივერიის“ დაჯილდოებულმა სომეხმა ხელოვანებმა და კონკურსის ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს სომხეთში ქართული დიასპორული ორგანიზაციის „ივერია“ წევრს, პოეტ ნინო სპანდერაშვილს, კონკურსში სომეხ შემოქმედთა ჩართვისა და ქართულ-სომხური კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის.

ბოლონიაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებისთვის ქართული საღამო გაიმართა

14 ივლისს, იტალიის ქალაქ ბოლონიაში, „კრედო ბანკის“ ორგანიზებითა და იტალიაში მოქმედი ქართულ-იტალიური ტელეკომპანია KN TV-ს (ხელმძღვანელი ქეთევან ნოგიევა) მხარდაჭერით, ქართული საღამო გაიმართა.
ღონისძიება მიყავდა ცნობილ ქართველ ტელეწამყვანს გია ჯაჯანიძეს, რომელმაც ადგილობრივი ქართული დიასპორისთვის შინაარსიანი, ინტერაქტიული საღამო მოაწყო.

ქართული ზეიმი ესპანეთში

14 ივლისს, ესპანეთის ქ. ვიტორიაში მოქმედი წმიდა გიორგის სახელობის ქართული სამრევლოს მხარდაჭერით გაიმართა კულტურული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამრევლოსთან არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „ჩვენებური - Guria“, ხალხური საკრავების ანსამბლმა „თამარიონი“ და ქ. ბილბაოში არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ზეკარი“.

ანსამბლის „კავკასია“ ქართული ტურნე

14-16 ივლისს, ქ. ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრთან „კავკასია“ (ხელმძღვანელი ავთანდილ მიქაბერიძე) არსებულმა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „კავკასია“, პროექტის - „ქართულ-ბერძნული კულტურული დიალოგი“ - ფარგლებში, საქართველოს ქალაქებში: ქუთაისი, ზესტაფონი, ოზურგეთი კონცერტები გამართა. პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ ფარგლებში. ქართულ ანსამბლთან ერთად, კონცერტებში მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის კუნძულ კერკირას „სინიელთა“ კულტურულ-საგანმანათლებლო კულტურის ცენტრის მოცეკვავეთა ანსამბლმა.

16 ივლისს, ოზურგეთში ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ოზურგეთის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

კონცერტის შემდეგ ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და ათენის კულტურის ცენტრს „კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ურთიერთობების გამყარებას ხელოვნებისა და თეატრის სფეროებში, უზრუნველყონ საგასტროლო-საკონცერტო ტურნეები, ერთობლივი პროექტებისა და გასტროლების ორგანიზება.

აღნიშნული მასშტაბური ღონისძიება განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით.

ანსამბლის „ივერიელები“ ტურნე საქართველოში

14-18 ივლისს, ბერძნულ-ქართულ კულტურულ ასოციაციასთან (ხემძღვანელი ხატია ქარსაულიძე) არსებული ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა „ივერიელები“ საქართველოს მასშტაბით კონცერტები გამართა.
პროექტი განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „უცხოეთში მოქმედი ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა“ ფარგლებში.
14 ივლისს, ანსამბლმა ჩარგალში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში - „ვაჟაობა“ მიიღო მონაწილეობა. 15 ივლისს, ასოციაციის წარმომადგენლები საქართველოს ეროვნული ბანკის მხარდაჭერით ყვარელის ფულის მუზეუმს ესტუმრნენ. ანსამბლმა, ასევე, კონცერტები გამართა 16 ივლისს დუშეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში და 18 ივლისს ქუთაისის კულტურის სახლში.

ქალაქ ბარიში ასოციაცია "ვიქტორიასთან" არსებულ სასწავლო ცენტრში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა

18 ივლისს, იტალიის ქალაქ ბარიში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით კულტურულ ასოციაცია "ვიქტორიასთან" არსებულ სასწავლო ცენტრში გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი უახლესი ლიტერატურით შეივსო.

იტალიაში მცხოვრებ ემიგრანტებს წიგნები გადასცა და მათთან შეხვედრა გამართა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მან აღნიშნა, რომ ქალაქ ბარიში თითქმის 25 ათასი ქართველი ემიგრანტია, რაც პულიის მოსახლეობის თითქმის 4 პროცენტს შეადგენს. ემიგრანტებთან შეხვედრისას კონსტანტინე გამსახურდიამ ისაუბრა ბიბლიოთეკაზე, მის ისტორიაზე, ასევე წიგნიერების მნიშვნელობაზე ისტორიულ პროცესებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ იტალიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, გენერალური კონსული ვახტანგ ანდღულაძე და ვიცე-კონსული მარიამ ალფაიძე, კულტურული ასოციაცია „ვიქტორიას" პრეზიდენტი ვიქტორია ცუხიშვილი.

შაორის ახალგაზრდულმა ბანაკმა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მოზარდებს უმასპინძლა

21-25 ივლისს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ - „ახალგაზრდობის სააგენტოს“ ორგანიზებით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინიტროს ჩართულობით, „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის” პროგრამის ფარგლებში შაორის ახალგაზრდული ბანაკი გაიხსნა. პროგრამის მიზანია, საზღვარგარეთ მცხოვრები მოზარდების ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების განმტკიცება და მოზარდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი, სპორტული და კულტურული გარემოს შექმნა. წლევანდელ ბანაკებში მონაწილეობა მიიღეს 14-18 წლის ახალგაზრდა თანამემამულეებმა ავსტრიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან.

პროექტის ფარგლებში მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაემყარებინათ ურთიერთობა ქართველ და უცხოელ თანატოლებთან, გაეუმჯობესებინათ ქართული ენის ცოდნა, განევითარებინათ საკომუნიკაციო და სხვა უნარ-ჩვევები, მონაწილეობა მიეღოთ ბანაკის მრავალფეროვან აქტივობებში და გამოევლინათ საკუთარი შესაძლებლობები.

პროექტი „საზღვრებს მიღმა“

25 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, ფონდის „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“ და ნიდერლანდების ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებლის, თიკა სვანიძე-ვენკოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, პროექტი „საზღვრებს მიღმა“ განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ემიგრაციაში მცხოვრები მოზარდების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი ახალგაზრდების დაახლოებასა და მათ შორის ხიდების აგებას, ქართველ ახალგაზრდებში კულტურათა გაზიარებისა და ძლიერი საზოგადოებრივი ერთობის სურვილის გაღვივებას.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში გაიმართა თეატრალური, საგანმანათლებლო და რეკრეაციული სახის აქტივობები. პროექტის ფარგლებში გახსნილ საზაფხულო ბანაკს უმასპინძლა საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა. პროექტის მონაწილეებმა მოინახულეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ამსახველი საოკუპაციო მუზეუმი. საქართველოს საპატრიარქოში, პატრიარქის თანამესაყდრემ, მეუფე შიომ ბანაკის წევრ ახალგაზრდებს უმასპინძლა.

29 ივლისს, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩატარდა ქართული საერთაშორისო დიასპორული თეატრის - „დაბრუნება“, თეატრალური სტუდიის „ArtPlaza“ და რეჟისორ თამარ ხიზანიშვილის ერთობლივი ნამუშევრის, ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „HELLADOS“-ის მიხედვით დადგმული სპექტაკლის ჩვენება. სპექტაკლში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალი ისე ემიგრაციაში მცხოვრები მოყვარული მსახიობები.

31 ივლისს, საქართველოს პარლამენტში, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ორგანიზებით, საერთაშორისო დიასპორული პროექტის - „საზღვრებს მიღმა“ მონაწილეების დაჯილდოება გაიმართა. ღონისძიებაზე პროექტის მონაწილეები და მისი ორგანიზატორი - ნიდერლანდებში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელი თიკა სვანიძე-ვენკო დაჯილდოვდნენ.

ლატვიაში იული სტრაუმეს 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

26 - 27 ივლისს, ლატვიის ქ. გულბენეში, გულბენეს მუნიციპალიტეტისა და კულტურის მუზეუმის ორგანიზებით, გამოჩენილი ლატვიელი საზოგადო მოღვაწის, ეთნოგრაფისა და დიპლომატის, იული სტრაუმეს 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი რიგით მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეცნიერები მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოდან. ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ „სამშობლო“ კონფერენციის შემოქმედებითი ნაწილი ქართული ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით დაამშვენა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო იული სტრაუმეს მიერ საქართველოში შექმნილი ესკიზები და ჩანახატები. გულბენეს კულტურის მუზეუმში გაიხსნა იული სტრაუმეს გამოფენა, რომელზეც გამოიფინა მის მიერ საქართველოში შექმნილი (ხელით ნაქსოვი) ხალიჩები და ორნამენტები.

მეცნიერებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ ლატვიაში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები. ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს სახელით კონფერენციას ესწრებოდა საელჩოს მრჩეველი თამარ ფახურიძე.

უზბეკეთში ფესტივალი „ხალხთა მეგობრობის დღეები“ ჩატარდა

29 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, უზბეკეთში ქართული კულტურის ცენტრმა „მეგობრობა“ მონაწილეობა მიიღო ქ. ტაშკენტში ხალხთა მეგობრობის დღეების ფარგლებში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. 29 ივლისს, ცენტრის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს დამოუკიდებლობისა და ხალხთა მეგობრობის მემორიალი; 30 ივლისს ქართული კულტურის ცენტრის აქტიურ წარმომადგენელს ზურაბ სულაკაძეს გადაეცა ხალხთა მეგობრობის სახელმწიფო ჯილდო; 1 აგვისტოს საქართველოს საელჩოსა და კულტურის სამინისტროსთან არსებული ეროვნებათაშორისი ურთიერთობებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული კავშირების კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგეს და ყვავილებით შეამკეს ქ. ტაშკენტში შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარე შოთა რუსთაველის ძეგლი; ქართული კულტურის ცენტრის წევრებმა წაიკითხეს ნაწყვეტები შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“; 3 აგვისტოს მონაწილეობა მიიღეს გალა კონცერტში, რომელიც ხალხთა მეგობრობის მოედანზე გაიმართა.

საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტი „დაიჭირე კადრი“ განხორციელდა

30 ივლისს, თბილისში, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქ. ბარსელონაში მოქმედი წმ. გიორგის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ასოციაციის ორგანიზებით პროექტის - „დაიჭირე კადრი“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი განხოციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში (პროექტის ხელმძღვანელი - დემნა ამაღლობელი). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ბარსელონას წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საკვირაო სკოლის აღსაზრდელების მიერ შესრულებული კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენა, ნაჩვენები იყო ბავშვების მიერ გადაღებული ფილმი. მოწვეულ, ცნობილ ადამიანებთან გაიმართა დისკუსია.

ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ბავშვებისათვის ქართული კულტურისა და ქართველი ხელოვანების უკეთ გაცნობას.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO